

საკრებულოს წევრი: ნანა ნანობაშვილი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების 2018 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

☑სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნანა ნანობაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, 2017 წლის მოწვევის საკრებულო მუშაობას შეუდგა გასული წლის 20 ნოემბერს. ამ პერიოდიდან ვარ საკრებულოს მაჟორიტარი წევრი და კომისიის თავმჯდომარე. როგორც საკრებულოს წევრი და კომისიის თავმჯდომარე ჩემი საქმიანობისას ვხელმძღვანელობ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საკრებულოს რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით. შესაბამისად, საქმიანობას წარვმართავ იმ უფლებამოსილებათა ფარგლებში, რასაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. სწორედ ეს განაპირობებს ჩემს მუშაობას, რომლის მთავარი მიმართულებაა ადგილობრივ დონეზე მოსახლეობისა და საკრებულოს ინტერესების გათვალისწინება და მიღებული ნდობის შენარჩუნება.

საანგარიშო პერიოდში მქონდა ინდივიდუალური შეხვედრები მოსახლეობასთან, რასაც ადასტურებს მოქალაქეთა მიღების 13 ოქმი. ჩემთვის მნიშვნელოვანია ვიცოდე, რას ფიქრობს ჩვენი ამომრჩეველი, რა შეხედულებები აქვთ ამა თუ იმ საკითხზე. როგორც კომისიის თავმჯდომარემ მონაწილეობა მივიღე სიღნაღის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრებში.

მოვიარე სოფ. ვაქირის ადმინისტრაციული ერთეულის ყველა უბანი, შევხვედი ხალხს და მათგან მოვისმინე სოფელში არსებული პრობლემები, რაც ძირითადად ეხებოდა სოციალურ საკითხებს, საუბნო და სასოფლო-სამეურნეო სავარგულამდე მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, სასაფლაოების შემოღობვას, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს, სასმელი წყლის სისტემის მოწყობას, დასაქმებასა და დამისამართებას.

განსაკუთრებით ყურადღება მინდა გავამახვილო დამისამართების პრობლემაზე. შევხვედი ადგილობრივ მოსახლეობას, რომელთაც დამისამართების არქონის გამო ეზღუდებოდა მთელ რიგ სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა (პირადობის მოწმობის აღება, საკუთრების რეგისტრაცია, სამედიცინო მომსახურება, არჩევნებში მონაწილეობა). როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა ინიციატივით მივმართე საკრებულოს სივრცითი მოწყობის, დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, მოსახლეობის ინტერესის გათვალისწინებით, აღნიშნული ქუჩის გამარჯვების ქუჩად სახელდების თაობაზე. წარმოდგენილი საკითხი შესწავლილ იქნა და შუამდგომლობა გადაგზავნილია გეოგრაფიული ობიექტების სახელდების კომისიის წინაშე. ხშირ შემთხვევაში ჩემი უფლებამოსილება არ არის საკმარისი მოქალაქეების პრობლემების მოსაგვარებლად, თუმცა ასეთი ვითარებისას ვუწეე შუამდგომლობას იმ სტრუქტურებთან, რომელთა კომპეტენციაშიც შედის საკითხის გადაწყვეტა. არც თუ იშვიათად თვითონ მივსულვარ მოქალაქეებთან სახლში, თუ ამის საჭიროება იყო, ან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ჩემამდე მოსვლა არ შეეძლოთ.

საანგარიშო პერიოდში სოფ. ვაქირში განხორციელდა ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები, რომელიც საკრებულოს სხდომაზე მხარდაჭერილ იქნა ჩემ მიერ.

როგორც სოფლის მაჟორიტარისათვის მნიშვნელოვანია ყველა ის პრობლემა თუ გამოწვევა, რომლის წინაშეც ჩემი სოფელი დგას. იქნება ეს ეკოლოგიური გარემო, ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხები, თუ აუცილებელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. აქტიურად ვმონაწილეობ მათ განხილვასა და გადაჭრის გზების მოძიებაში. არც მომავალში დავიშურებ ძალისხმევას, რათა შევძლოთ მდგომარეობის გამოსწორება და ჩვენს მოქალაქეებს ცხოვრების უკეთესი პირობები შევუქმნათ.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოსა და ბიუროს 21 სხდომა ვესწრებოდი 19-ს (ამ დროს ვიყავი ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიწვევით ტრენინგზე „გენდერული

თანასწორობის სამართლებრივი უზრუნველყოფა“).

2018 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიამ ჩაატარა 7 სხდომა, სადაც შესწავლილი და განხილულ იქნა 15 საკითხი.

კომისიის სახელით სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას ვიღებ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დახმარების გაცემის კომისიის მუშაობაში.

ასევე, მონაწილეობა მივიღე სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომუნალური 1“ -ის სალიკვიდაციო კომისიის მუშაობაში.

აქტიურად ვარ ჩართული „სიღნაღის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საბჭოს საქმიანობაში“. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიამ შეადგინა შშმ პირების საკითხებზე საჭიროებების შესწავლისა და განხორციელებული ანალიზის გათვალისწინებით, სიღნაღის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სამოქმედო გეგმა, რომელიც წარუდგინა შშმ პირების საკითხებზე მომუშავე საბჭოს.

ასევე, კომისიამ შეიმუშავა სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების სამოქმედო გეგმა.

ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

საბჭო მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული პოლიტიკის გაძლიერების მიმართულებით. ქალთა საინფორმაციო ცენტრის კონსულტაციების

გათვალისწინებით მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანე გენდერულ ჭრილში მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების საქმეში, რომლის ანალიზის საფუძველზე შევიმუშავეთ და საკრებულოს დასამტკიცებლად წარვუდგინეთ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა.

მიმაჩნია, რომ განვლილ საანგარიშო პერიოდში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით უფრო აქტიური და ნაყოფიერი გახდება ჩემი, როგორც საკრებულოს წევრისა და კომისიის თავმჯდომარის საქმიანობა.

საკრებულოს წევრი: ნანა ნანობაშვილი

30.10.2018 წელი

საკრებულოს წევრი: გოჩა შანშაშვილი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის (სოფ. ქვ. მაჩხაანი), სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის - გოჩა შანშაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ მაჟორიტარი დეპუტატის უფლებამოსილებას შევუდექი 2017 წლის 20 ნოემბრიდან. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ თანახმად, მაქვს ამომრჩეველთა ინფორმირების ვალდებულება გაწეული მუშაობის შესახებ. ჩემ მიერ წარმოდგენილი ანგარიში ორი ნაწილისაგან შედგება:

პირველი, რომელიც ასახავს ჩემ მიერ სოფელ ქვ. მაჩხაანში (ხირსა, ხორნაბუჯი) გაწეულ საქმიანობას, მეორე კი ეხება - საკრებულოში განხორციელებულ კომისიურ მუშაობას.

ჩემი ჩართულობით, სოფ. ქვ. მაჩხაანში ე.წ. „ახალ უბანში“ დაიგო 550 მეტრი ასფალტი, ასევე დაიგო სამების ტაძართან მისასვლელი გზა - გარე განათებით, მოიხრეშა სოფლის შიდა უბნები, რეაბილიტაცია ჩატარდა „ნარაზმის წყალს“.

სოფელში მოეწყო მინი სპორტული მოედანი, ინფრასტრუქტურული ობიექტების კეთილმოწყობის მხრივ - სკოლის ეზოში დაირგო 50 ძირი „კედარის“ ნაძვი.

მინდა აღვნიშნო, რომ საანგარიშო პერიოდში, ჩემ მიერ ორგანიზებული იყო როგორც საქველმოქმედო (ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, საკუთარი სახსრებით საახალწლო საჩუქრების შექმნა გაჭირვებული ოჯახებისათვის), ასევე, დასუფთავების აქცია (3-ჯერ დასუფთავდა სოფლის შემოგარენი).

რაც შეეხება კომისიურ საქმიანობას, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისია თავის მუშაობას წარმართავს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და საკრებულოს მიერ დამტკიცებული სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის დებულების შესაბამისად, ხელმძღვანელობს და კომისიის სხდომებზე იხილავს როგორც საკრებულოს სამუშაო გეგმით განსაზღვრულ, ასევე მუნიციპალიტეტის წინაშე დღის წესრიგში დასმულ მიმდინარე საკითხებს. კომისიის კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები :

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლებსა და ქალაქებში განსახორციელებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;
2. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიისათვის „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისათვის“ პროექტის ფარგლებში შეთანხმების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
3. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქ.სიღნაღში, ჭავჭავაძის ქუჩაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დგომის (პარკირება) აკრძალვის შესახებ;
4. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობისა და ძველთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

კომისიაში შემოსული წერილებიდან 4 განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა მერიასთან ერთობლივი მუშაობით. ანგარიშის წარდგენის მიწურულს, მინდა აღვნიშნო, რომ აქტიურად ვხვდები ჩემს ამომრჩეველებს, ვისმენ მათ პრობლემემატიკურ და პრიორიტეტულ საკითხებს, რაც ძირითადად შეეხება: სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებას, მედიკამენტების, ოპერაციებისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი სარეაბილიტაციო კურსების დაფინანსებას, მოსახლეობის სამშენებლო მასალითა და შეშით დაკმაყოფილებას, სტუდენტებისათვის სწავლის თანხის გადარიცხვას, სახლების გამაგრება-გადახურვას... ჩემთვის, როგორც მაჟორიტარი დეპუტატისათვის, პრიორიტეტულია მათი თანადგომა, ჭირისა და ლხინის გაზიარება. მაქსიმალურად მხარში ვუდგევარ ჩემი სოფლის მოსახლეობას და კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდის მათ განსაკუთრებული ნდობისათვის. კომისიის თავმჯდომარე:

გოჩა შანშაშვილი
25.10.2018 წელი

საკრებულოს წევრი: თემურ ჯავაშვილი

☑სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

თემურ ჯავაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

2017 წლის 20 ნოემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და ვიკავებ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას. ასევე ვარ ქ.წნორის ტერიტორიული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი. რეგულარულად ვხვდები როგორც მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ასევე ქ. წნორის მოსახლეობას სხვადასხვა საკითხების განხილვასთან დაკავშირებით. კანონით მინიჭებული უფლებით თავმჯდომარის შვებულებაში ან მივლინებაში ყოფნის პერიოდში ვასრულებ საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას. საანგარიშო პერიოდში ვესწრებოდი საკრებულოსა და ბიუროს სხდომებს.

ასევე ვარ მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული ფიზიკური კერძო სამართლისა და იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრი. კომისიის წევრებთან ერთად ადგილზე შესწავლილი და განხილული გვაქვს 550 განცხადებაზე მეტი და თითქმის უმეტესობაზე კომისიამ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება, რაზედაც მოხდა კონკრეტული მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე.

ვარ კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში (გუბერნიაში) არსებული ინფრასტრუქტურული საკითხების საკონსულტაციო საბჭოს წევრი და ვესწრები სხდომებს, რის შედეგადაც ადგილზე მერიასთან ერთად ვახდენთ სიღნაღის მუნიციპალიტეტში არსებული ინფრასტრუქტურული საკითხების განხილვას.

საკრებულოს წევრი: თემურ ჯავაშვილი

30.10.2018 წელი

საკრებულოს წევრი: მალხაზ ხუციშვილი

☑სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მალხაზი ხუციშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

2017 წლის 20 ნოემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, იურიდიული კომისიისა და ფრაქციის „ქართული ოცნება“ წევრი. წლის საანგარიშო პერიოდში ვესწრები საკრებულოს სხდომებს, ვთავმჯდომარეობ საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომებს, ასევე მონაწილეობას ვიღებ ფრაქციის „ქართული ოცნება“ და იურიდიული კომისიის სხდომებში, ვხვდები სიღნაღის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებს და ყველგან აქტიურად ვაფიქსირებ საკუთარ პოზიციას ქვეყნის, მუნიციპალიტეტისა და პირველ რიგში მოსახლეობის ინტერესების დასაცავად. ორიენტირებული ვარ მოსახლეობისთვის სოციალური, ეკონომიკური, ახალგაზრდებისათვის სპორტული და კულტურული აქტივობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული და ტექნიკური გარემოს გაუმჯობესებაზე.

ერთი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის სოფლებსა და ქალაქებში განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები, კერძოდ: გზის ასფალტბეტონის საფარისა და სანიაღვრე არხების (კიუვეტების), საყრდენი კედლების, სასმელი წყლის ჭაბურღილის, რეზერვუარისა და წყალსადენის ქსელების მოწყობის, საბავშვო ბაღების გაზიფიცირებისა და ცენტრალური გათბობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ქალაქ წნორში ახმეტელის ქუჩაზე ჩატარდა სასმელი წყლის ჭაბურღილზე სიმძლავრის გაზრდის სამუშაოები. ამჟამად ქალაქ წნორის ცენტრში მიმდინარეობს არსებული პარკის, თავისუფლების ქუჩის მე-2 შესახვევისა და ერეკლე მეორის ქუჩის ს/გზის რეაბილიტაცია.

საკრებულოს წევრი: მალხაზი ხუციშვილი

25.10.2018 წელი

საკრებულოს წევრი: ილია ბაიდომვილი

☑სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის (სოფ.მადარო), იურიდიული კომისიის თავმჯდომარის - ილია ბაიდომვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2017 წლის 20 ნოემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სოფ. მადაროს მაჟორიტარი დეპუტატი, იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, ასევე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

წლის საანგარიშო პერიოდში ვესწრები საკრებულოს სხდომებს, ვთავმჯდომარეობ იურიდიული კომისიის სხდომებს და ვმონაწილეობ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომების მუშაობაში. დავიწყებ კომისიური საქმიანობიდან:

მოგახსენებთ, რომ, საკრებულოს იურიდიული კომისია თავის მუშაობას წარმართავს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და საკრებულოს მიერ დამტკიცებული იურიდიული კომისიის დებულების შესაბამისად, ზედამხედველობას უწევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, მერიისა და მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შესაბამისობას კანონმდებლობასთან, განიხილავს და შეიმუშავებს წინადადებებს: საკრებულოს რეგლამენტში, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატის დებულებებში ცვლილების შეტანის შესახებ, აგრეთვე ამზადებს სამართლებრივ დასკვნებს მერიისა და მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებათა პროექტებში ცვლილებების შეტანის საკითხებზე. სწორედ ამ მიმართულებით კომისიას განხილული და მიღებული აქვს არაერთი გადაწყვეტილება.

ჩემი ჩართულობით სოფ. მადაროში ამ წლის განმავლობაში განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები: „ფოხალოს“ გზაზე დაიგო ასფალტი, მოიხრემა 5 შიდა საუბნო გზა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ე.წ. „შრომის“ წყლის სისტემას, დაიდგა ნაგვის კონტეინერები, დასუფთავდა სოფლის შემოგარენი. ამჟამად მიმდინარეობს გარე განათების მოწყობა „კელმეჩურის“ წყალთან მისასვლელ გზაზე.

აქტიური შეხვედრები მაქვს სოფ. მადაროს მოსახლეობასთან, ვისმენ და ვეცნობი მათ ყოველდღიურ პრობლემებს, არ ვიშურებ ძალისხმევას და შეძლებისდაგვარად ვეხმარები მათ აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში.

ვთვლი, რომ ეს არ არის მაქსიმუმი, კიდევ შეიძლება მეტის გაკეთება, თქვენს გვერდით მიგულეთ და კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოგახსენებთ მხარდაჭერისათვის.

კომისიის თავმჯდომარე: ილია ბაიდომვილი

25.10.2018 წელი

საკრებულოს წევრი: ცოტნე ბეჟაშვილი

☑სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ცოტნე ბეჟაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

2017 წლის 20 ნოემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქციის „ქართული ოცნება“ თავმჯდომარის მოადგილე, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის წევრი.

წლის საანგარიშო პერიოდში ვესწრები საკრებულოს, ფრაქციის „ქართული ოცნება“ და ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომებს, ვხვდები ქალაქ სიღნაღის ამომრჩევლებს და ყველგან აქტიურად ვაფიქსირებ საკუთარ პოზიციებს. ორიენტირებული ვარ მოსახლეობისთვის სოციალური, ეკონომიკური, ახალგაზრდებისათვის სპორტული და კულტურული აქტივობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული და ტექნიკური გარემოს გაუმჯობესებაზე.

ქალაქ სიღნაღში ჩატარდა დენდროლოგიურ პარკთან მისასვლელი საფეხმავლო გზის რეაბილიტაცია და პარკის კეთილმოწყობა და ქალაქის ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულებით, მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა ქალაქ სიღნაღში აბრამიშვილის (ყოფილი ბარათაშვილის), ბეჟანიშვილის, მოსაშვილის და მოსულიშვილის ქუჩების ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის. აღნიშნული პროექტების განხორციელება უახლეს მომავალში დაიწყება.

საკრებულოს წევრი: ცოტნე ბეჟაშვილი

25.10.2018 წელი

საკრებულოს წევრი: გოჩა ტოკლიკიშვილი

☑სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
გოჩა ტოკლიკიშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2017 წლის ნოემბრიდან ვიკავებ ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობას. საკრებულოს წევრი გავხდი პარტია „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიით. ამ ხნის განმავლობაში მონაწილეობას ვიღებდი ყველა იმ საკითხის განხილვაში, რაც უშუალოდ ეხებოდა ჩემს კომისიას. ასეთი საკითხები მრავლად იყო და მათ შესახებ დაწვრილებითი ანგარიში ასახულია სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, სისტემატურად ვხვდებოდი ამომრჩევლებს მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით და ვცდილობდი მათი პრობლემები და წინადადებები პრიორიტეტული ყოფილიყო ჩემი გაწეული მუშაობის ნაწილში.

ამასთანავე ვარ სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის წევრი და აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი აღნიშნული კომისიის მუშაობაში. ორივე კომისიამ საკმაოდ მნიშვნელოვანი და მოცულობითი სამუშაო შეასრულა ამ ერთი წლის განმავლობაში.

საკრებულოს წევრი: გოჩა ტოკლიკიშვილი
30.10.2018 წელი

საკრებულოს წევრი: გოჩა ჯალიაშვილი

☑სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - გოჩა ჯალიაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2017 წლის 20 ნოემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ასევე - ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის წევრი.

მიმდინარე წლის განმავლობაში აქტიურად ვესწრები საკრებულოს სხდომებს, მონაწილეობას ვიღებ ზემოაღნიშნული კომისიების სხდომების მუშაობაში, ვხვდები ამომრჩევლებს, ვისმენ მათ მოთხოვნებს და ვეხმარები პრობლემების მოგვარებაში.

წლის საანგარიშო პერიოდში სოფ. ძვ. ანაგაში განხორციელდა შემდეგი პროექტები: გაკეთდა სასაფლაოებთან (2 სასაფლაოსთან) მიმავალი გზა, მოიხრემა შიდა საუბნო გზები, მოეწყო მინი სპორტული მოედანი.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა, არსებობს კიდევ მრავალი საყოფაცხოვრებო თუ სოციალური პრობლემა, რომელიც ჩვენი მხრიდან ყურადღებას საჭიროებს.

დიდ მადლობას მოგახსენებთ ნდობისათვის და მაქსიმალურ მხარდაჭერას გიცხადებთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში.

საკრებულოს წევრი:გოჩა ჯალიაშვილი
26.10. 2018 წელი

საკრებულოს წევრი: გიორგი ელაშვილი

☑სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი ელაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2017 წლის მოწვევის საკრებულო მუშაობას შეუდგა გასული წლის 20 ნოემბერს. ამ პერიოდიდან ვარ საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი და ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე.

როგორც საკრებულოს წევრი ჩემი საქმიანობის განხორციელებისათვის ვხელმძღვანელობ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საკრებულოს რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

საანგარიშო პერიოდში მქონდა როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე სოფელ ჯუგაანში მოსახლეობასთან შეხვედრები, ვისმენდი მათ მოთხოვნებსა და პრობლემებს.

სოფელ ჯუგაანში რამოდენიმე ბურღზე შეკეთდა წყლის ტუმბოები, ასევე მოასფალტდა 800 მ-იანი საუბნო გზა, დაიდგა ნაგვის ურნები. თუმცა სოფელში გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

მოსახლეობის მოთხოვნა გაკეთდეს გზები, მოხდეს სასაფლაოს შემოღობვა და მუზეუმის აღდგენა. სავარგულებთან მისასვლელი გზების მოხრეშვა. წნორი - ჯუგაანის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება და ქვესადგურის გზის რეაბილიტაცია.

მე, როგორც საკრებულოს წევრი მივიღებ მონაწილეობას აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში.

საკრებულოს წევრი: გიორგი ელაშვილი

30.10.2018 წელი

საკრებულოს წევრი: გელა ლეკიაშვილი

☑სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - გელა ლეკიაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2017 წლის 20 ნოემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (სოფ. ბოდბის მაჟორიტარი დეპუტატი), ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარე, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის წევრი.

2017-2018 წლის საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვესწრები საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებს, ვთავმჯდომარეობ ფრაქციის სხდომებს და მონაწილეობას ვიღებ - ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მუშაობაში.

სოფ. ბოდბეში განხორციელებული პროექტების შესახებ:

სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ წლის ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტია - „თოღლაანთ უბანში“ ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი, რომლის მშენებლობაც (ევროპული სტანდარტების შესაბამისად) აქტიური რეჟიმში მიმდინარეობს და ექსპლუატაციაში მომავალი წლის გაზაფხულზე შევა. ახალი ბაგა-ბაღის მშენებლობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან, მოსახლეობის ზრდის პარალელურად გაჩნდა ამის მოთხოვნა და ამით წლების მანძილზე არსებული პრობლემა მოგვარდება და ჩვენი სოფლის ბავშვები ახალ ბაგა-ბაღში შეძლებენ სკოლამდელი განათლების მიღებას.

ჩემი ჩართულობით, ცენტრალური გზის გასწვრივ გაკეთდა სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია, მოიხრეშა შიდა საუბნო გზები, გაკეთდა სანიაღვრე სისტემა, ბუნებრივ წყაროებს გაუკეთდა ახალი სათავე-ნაგებობა (მოხდა მათი გაწმენდა-რეაბილიტაცია);

„ზურაბანთ უბანში“ ე.წ. „რიყის“ ტერიტორიაზე მოეწყო დასასვენებელი სკვერი;

სოფ. ბოდბეში (ზემო) - დასრულდა წყალმომარაგების სისტემის სრული რეაბილიტაცია, რის შედეგადაც მოსახლეობას მოუგვარდა წყლის პრობლემა და უწყვეტი წყალმომარაგებით ისარგებლებს;

რაც შეეხება ჩვენი სოფლის პრიორიტეტებს, რომელიც მოსახლეობასთან შეხვედრებით გამოიკვეთა: მოსახლეობამ მოითხოვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებამდე მისასვლელი გზების მოხრეშვა, სასმელი წყლის მიწოდების გრაფიკის გაუმჯობესება, ადრეულ წლებში არსებული სარწყავი სისტემის აღდგენა (შესაძლებლობის ფარგლებში), მინი სპორტული მოედნის მიმდებარედ - სკამების, ასევე, გასახდელების დამონტაჟება, კულტურის სახლის რეაბილიტაცია (სოფლის ახალგაზრდობის კეთილდღეობისა და განვითარებისათვის).

დიდ მადლობას მოგახსენებთ ნდობისათვის, მხარდაჭერისათვის და გპირდებით, მაქსიმალურად შევეცდები არსებული პრობლემების მოგვარებას

საკრებულოს წევრი: გელა ლეკიაშვილი

31.10.2018 წელი

საკრებულოს წევრი: ვლადიმერ სიმონიშვილი

☑სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
ვლადიმერ სიმონიშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

2017 წლის 20 ნოემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ამავე დროს, საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის წევრი.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვესწრებოდი საკრებულოს სხდომებს, როგორც სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფელ ანაგიდან ვმონაწილეობდი ჩემი სოფლის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საკითხების განხილვაში. ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა სოფელში წყალმომარაგების პრობლემის გადაჭრისათვის, თუმცა ეს საკითხი სოფელში მაინც უპირველესი პრობლემაა. დიდი ზიანი მიაყენა სათავე ნაგებობებსა და გამანაწილებელ ქსელს მიმდინარე წლის ივნის - ივლისში მომხდარმა სტიქიამ, რაზედაც საქართველოს მთავრობამ გამოყო 360 ათასი ლარი, რომლითაც მოხდა „მთავარანგელოზის“ ხეზე სათავე ნაგებობისა და გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაცია. ასევე სტიქიით მნიშვნელოვნად დაზიანდა სოფლის შიდა და სავარგულებთან მისასვლელი გზები, რომელთა საფუძვლიანი რეაბილიტაცია იგეგმება საქართველოს მთავრობიდან გამოყოფილი თანხებით.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ეგიდით, „მთავარანგელოზის“ ხევში განხორციელდა ნაპირგასამაგრი სამუშაოები, კერძოდ, გადასასვლელ ხიდამდე მოეწყო გაბიონები.

სოფელს შეემატა სასმელი წყლის ერთი ჭაბურღილი, გამანაწილებელი ქსელი, რის შედეგადაც წყლით ისარგებლებს 40 ოჯახი. დაიწყო მუშაობა და მიმდინარეობს ელექტროგადამცემი საყრდენი ბოძების შეცვლა, დახურულ კაბელოურ სისტემაზე გადასვლა და ახალი ელექტრო მრიცხველების დამონტაჟება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ელექტროენერჯის მიწოდების ხარისხს და თითქმის მთლიანად აღმოფხვრის უგეგმო გათიშვებს.

აქტიური, ყოველდღიური შეხვედრები მაქვს სოფელ ანაგის მოსახლეობასთან. შეძლებისდაგვარად ვეხმარები მათ საყოფაცხოვრებო და სხვა პრობლემების მოგვარებაში.

საკრებულოს წევრი: ვლადიმერ სიმონიშვილი

31.10.2018 წელი

საკრებულოს წევრი: გიორგი ბოლღაშვილი

☑სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი ბოლღაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ ვარ „კონსერვატიული“ პარტიის თავმჯდომარე სიღნაღის მუნიციპალიტეტში. 2017 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ გავხდი საკრებულოს წევრი პროპორციული საარჩევნო სიის შემადგენლობიდან. საკრებულოში გვაქვს ფრაქცია, „ქართული ოცნება - კონსერვატორების სახით“ და ამავე დროს ვარ საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის წევრი.

2017 - 2018 წლების საანგარიშო პერიოდში ხშირად ვესწრებოდი საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომებს, სადაც განიხილება უძრავი და მოძრავი ქონების იჯარით ან საკუთრებაში გადაცემა. ჩვენი კომისია ყოველთვის გადაწყვეტილებას იღებს კანონის ფარგლებში.

ვატარებთ „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ სხდომებს, სადაც ვიხილავთ მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებს, როგორც ინფრასტრუქტურის, ასევე სოფლის მეურნეობის მიმართულებით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ვხვდები ჩვენს ამომრჩევლებს სოფლებში. ყოველი თვის დასრულებამდე მქონდა 3 – 4 შეხვედრა. ძირითადად, ჩვენი ამომრჩევლები დაინტერესებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რითაც ამომრჩეველთა ჯგუფი კმაყოფილებას გამოთქვამს ჩვენ მიერ გაწეულ კონსულტაციებზე.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი უშუალო ინიციატივით და მერიის მხარდაჭერით სოფელ მადაროში 2017 წლის დეკემბერში გაკეთდა სანიაღვრე 260 გრძივი მეტრი, რის შესახებაც მოსახლეობა გამოთქვამს კმაყოფილებას.

ჩემი შეხვედრების შედეგად რამდენიმე ამომრჩეველმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ სამთავრობო „დანერგე მომავლის“ პროექტით გაეშენებინა ნუშის ბაღი 15 ჰექტარზე.

ჩემი საკრებულოს წევრობის ვადის ამოწურვამდე უფრო გააქტიურებული და შემართებული ვიქნები ჩვენი სამუშაო პროცესების შესასრულებლად და აქტიურად ვითანამშრომლებ ჩვენს ამომრჩეველთან.

საკრებულოს წევრი: გიორგი ბოლღაშვილი

31.10.2018 წელი

საკრებულოს წევრი: არჩილ ტუხაშვილი

☑სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
არჩილ ტუხაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

2017 წლის ნოემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ასევე იურიდიული
კომისიის წევრი.

სიღნაღის საკრებულოს დეპუტატის საქმიანობის განხორციელებისას მონაწილეობა მივიღე
სხვადასხვა ღონისძიებაში. ვესწრებოდი როგორც საკრებულოს, ისე იურიდიული კომისიის
სხდომებს და აქტიურად ვაფიქსირებდი ჩემს აზრს სხვადასხვა საკითხის განხილვაში.

ვმონაწილეობდი სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო საატესტაციო კომისიის
მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდში მე, როგორც სოფელ ბოდბისხევის მაჟორიტარი დეპუტატი, ხშირად
ვხვდებოდი ჩემი სოფლის მოსახლეობას, ვეხმარებოდი მათ არსებული პრობლემების გადაჭრაში,
სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სტრუქტურებთან მოლაპარაკებებისა და დავების
მოგვარებაში.

მაქვს მჭიდრო კომუნიკაცია სოფელ ბოდბისხევის მოსახლეობასთან, მათთან ერთად ვმუშაობ
სამომავლოდ განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

საკრებულოს წევრი: არჩილ ტუხაშვილი

31. 10. 2018 წელი

საკრებულოს წევრი: ნანა ლეკიაშვილი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნანა ლეკიაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სოფელ ილიაწმინდას მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე, იურდიული და კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიების წევრი. წლის საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვესწრები საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიის სხდომებს. აქტიურად ვმონაწილეობ მათ მუშაობაში. ვხვდები სოფლის ამომრჩევლებს და ვაფიქსირებ საკუთარ პოზიციებს.

ამ საანგარიშო წლის პერიოდში სოფელ ილიაწმინდაში რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობით განხორციელდა საბავშვო ბაღთან მისასვლელი 1075 მეტრი გზის მონაკვეთის მოასფალტება.

ჩემი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 28.12.2017 წელს ილიაწმინდას სკვერში ჩატარდა საახალწლო ზეიმი. 3 და 8 მარტი მივულოცე ჩემი სოფლის ქალბატონებს და მოვაწყეთ ღონისძიება. აქტიურად ჩავერთე 22 ივლისის სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში და შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი მოსახლეობას.

ილიაწმინდა შეუერთდა „ევროპის მემკვიდრეობის დღეებს“ საქართველოში და ჩემი და ახალგაზრდების ინიციატივით ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, სადაც მონაწილეობა მიიღო ექვსი სოფლის გუნდმა. ბავშვები თამაშში ხალისით ჩაერთვნენ და საკუთარი ცოდნა და უნარები გამოსცადეს. ამავე დღეს ჩემი და ახალგაზრდების მოწვევით ბატონმა ნიკოლოზ ხომასურიძემ მოგვიწყო ფილმის „ექვთიმე ღვთისკაცის“ ჩვენება.

აგრეთვე, ჩემი ჩართულობითა და ხელმძღვანელობით სოფლის სკვერში მოეწყო შემოდგომის დღესასწაული, სადაც სტუმრებს შეეძლოთ დაეგემოვნებინათ კახური, სვანური და მაღაკანთა ტრადიციული სამზარეულო. გაიმართა საზეიმო კონცერტი.

აქტიურად ვხვდები სოფ.ილიაწმინდას მოსახლეობას, ვისმენ და ვეცნობი მათ ყოველდღიურ პრობლემებს. არ ვიშურებ ძალისხმევას და ვეხმარები პრობლემების მოგვარებაში.

ილიაწმინდას მოსახლეობა ითხოვს სოფლის უბნებში გარე განათებას, საუბნო გზების მოასფალტებას. ჩემი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში მაქსიმალურად შევეცდები აღნიშნული პრობლემების მოგვარებას.

საკრებულოს წევრი: ნანა ლეკიაშვილი
31.10.2018 წელი

საკრებულოს წევრი: ნელი გურაშვილი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ნელი გურაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ სოფ. ნუკრიანში განხორციელებული აქტივობებისა და პროექტების შესახებ:

მე, როგორც „ქართული ოცნების“ სიით არჩეულმა დეპუტატმა, შემოვიარე ჩემი სოფლის ყველა ოჯახი. თუმცა კარგად ვიცოდი მათი მდგომარეობა, სოციალური პრობლემები, პოლიტიკური შეხედულებები, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩავთვალე მათთან კიდევ ერთხელ გასაუბრება და მათი სურვილებისა და წინადადებების გაცნობა.

მინდა გითხრათ, რომ ყოველი კვირის ორშაბათ დღეს საკრებულოს შენობაში დანიშნული გვაქვს მოქალაქეებთან შეხვედრები.

საანგარიშო პერიოდში სოფ. ნუკრიანის მოსახლეობას გაუმჯობესდა სასმელი წყლის მიწოდება. გარკვეულ უბნებში მოეწყო გარე განათება, დაიდგა ნაგვის ბუნკერები, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მუნიციპალიტეტის მერიიდან დაუფინანსდა ოპერაციები და ზოგიერთ მათგანს - მედიკამენტებიც.

ჩვენი სოფელი მიეკუთვნება მაღალმთიან რეგიონს და პენსია თითოეულ პენსიონერზე შეადგენს 216 ლარს. ახალი წლიდან გათვალისწინებულია პენსიის ზრდა 240 ლარამდე.

დაიგეგმა „მარტაანის უბნის“ გზის რეაბილიტაცია, ასევე, „ჭოტორის უბნის“ ცენტრალური და საუბნო გზების კეთილმოწყობა.

ვხვდები და კვლავაც გავაგრძელებ შეხვედრებს სოფლის მოსახლეობასთან, გულთან მივიტან მათ მიერ გამოთქმულ შენიშვნებს, აზრებსა და წინადადებებს.

სასიხარულოა, რომ მომავალ წელს კვლავ განხორციელდება სოფლის დახმარების პროგრამა და მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ბევრი რამ გაკეთდება.

საკრებულოს წევრი: ნელი გურაშვილი

31.10.2018 წელი

საკრებულოს წევრი: ოთარ ალადაშვილი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ოთარ ალადაშვილის

ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ სოფელ ტიბაანში განხორციელებული აქტივობებისა და პროექტების შესახებ.

მე, როგორც ამ სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა, დავიწყე იმ ოჯახების პირადად გაცნობა და შესწავლა, რომლებთანაც მანამდე ნაკლებად მქონდა შეხება, მოვისმინე მათგან პირადი და მათვე უბანში არსებული საზოგადოებრივი პრობლემები, რის საფუძველზეც უნდა დაგვეგეგმა მიმდინარე წელს განსახორციელებელი პროექტები.

ოჯახებთან გასაუბრებისას ვავსებდი ე.წ აღწერვის ფორმას, სადაც ვინიშნავდი იმ პრობლემებს, რომელთა მოგვარებასაც ისინი ანიჭებდნენ მნიშვნელობას.

ამ ყველაფერთან ერთად 2017 წლის ნოემბერის თვეში მიმდინარეობდა საბიუჯეტო საკითხების განხილვა, სადაც ვიღებდი მონაწილეობას და იმ პრობლემებზე ვამახვილებდი ყურადღებას, რაც ჩემი ამომრჩევლისაგან იყო მოწოდებული. განსაკუთრებით აქტუალური იყო: სასამელი წყლის, დასუფთავებისა და გარე განათების პრობლემები. ასევე ახალგაზრდების მიერ გამოთქმული იქნა სურვილი, ჰქონოდათ მინი სტადიონი სოფელში, რაც მალე განხორციელდა.

სასამელი წყლის მოსაგვარებლად, შევარჩიეთ ტიბაანში ყველაზე უფრო პრობლემური უბნი, სადაც მუნიციპალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით დაფინანსდა სასამელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა, რომელიც თითოეული ოჯახამდე ინდივიდუალურად იქნა მიყვანილი და აღიშნული პროექტი დაფინანსდა დაახლოებით 80 000 ლარით.

დასუფთავების კუთხით ვიმუშავეთ იმ საკითხებზე, რომ ცენტრალურ უბნებში დამატებულიყო ნაგვის ბუნკერები. თუმცა ასევე შევიმუშავეთ გეგმა, სადაც აქტიურად ჩავრთეთ მოსახლეობა, რომ ადგილობრივი რესურსით დავიწყეთ სოფელში არსებული თვითნებური ნაგავსაყრელების გაწმენდა და პარალელურად გავწიოთ აგიტაცია, რათა აღარ მოხდეს სოფლის ხელახალ დანაგვიანება, ასევე დაწყებული მაქვს მოსახლეობასთან მოლაპარაკებები სატვირთო ავტომობილის დაქირავების შესახებ, რომელიც ივლის სოფლის შიდა უბნებში და გამოიტანს ნაგავს, რადგან მოსახლეობას უჭირს ცენტრალურ გზამდე ნაგვის გამოტანა და აღნიშნულის გამო ხდება მიმდებარე ტერიტორიების დანაგვიანება.

შემდეგი აქტუალური საკითხი, რომლის მოგვარებასაც გვთხოვდა მოსახლეობა, არის გარე განათება. მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან დაფინანსდა პრასიანის დასახლებისკენ მიმავალი ორკილომეტრიანი გზის სრულად განათება, ასევე უახლეს დღეებში დაგეგმილია აჭარლების დასახლებისკენ მიმავალი გზის განათება, რისთვისაც ბიუჯეტში დაგეგმილია 7000 ლარი. აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „ელკანას“ მიერ ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით სოფელ ტიბაანის ცენტრში მოეწყო ბავშვთა და მოზარდთა გასართობი სკვერი რომლის შემოღობვაც მიმდინარეობს ამჟამად, ფინანსდება მუნიციპალური ფონდიდან და პროექტის ღირებულება შეადგენს 48000 ლარს.

მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში ადგილობრივი მოსახლეობის გააქტიურებისა და არსებული პრობლემების მოგვარებაში მათი ჩართვისათვის დავაფუძნეთ ა.(ა) .იპ ფონდი, სახელწოდებით - „სოფელ ტიბაანის განვითარების ფონდი“ რომელიც არის წევრობაზე დაფუძნებული. მასში ამჟამად გაწევრიანებულია 12 ადამიანი რომელთა რიცხვიც 20-მდე გაიზრდება და აღნიშნული ფონდი აქტიურად იმუშავეს სოფლის საზოგადო პრობლემების მოგვარებაზე. აღსანიშნავია, რომ ფონდს დაწყებული აქვს მუშაობა სპორტული კომპლექსის პროექტზე, რომელიც გათვლილი იქნება არა მხოლოდ ტიბაანზე, არამედ სხვა სოფლებში მცხოვრებ ახალგაზრდებზეც. პროექტის მომზადებასთან ერთად ვმუშაობთ მისი განხორციელებისთვის საჭირო დაფინანსების მოძიებაზე. ზემოხსენებული საქმიანობის გარდა, კვირაში მინიმუმ ორი დღე ვხვდებით მოსახლეობას ინდივიდუალურად, როგორც ოჯახებში, ასევე ცალ-ცალკე უბნებში, ვცნობოდი მათ პირად და საზოგადოებრივ პრობლემებს, რომლებსაც სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით შეძლებისდაგვარად ვაგვარებდით. ინდივიდუალური საკითხები, ძირითადად, შეეხებოდა მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობას და სოციალურ პრობლემებს, რომელთა

მოსაგვარებლად ბიუჯეტიდან კანონის ფარგლებში ეწეოდათ ფულადი დახმარება თითოეულ მათგანს.

ამჟამად კვლავ მიმდინარეობს მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაცია, რათა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი მაქსიმალურად მორგებული იყოს მოქალაქეთა პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრი: ოთარი ალადაშვილი

31.10.2018 წელი

საკრებულოს წევრი: ნინო კოჭლამაზაშვილი

☑სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
ნინო კოჭლამაზაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

საანგარიშო პერიოდში ვესწრებოდი საკრებულოს სხდომებს, შეხვედრებს, აქტიურად ვმონაწილეობდი პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში. ვაფიქსირებდი ჩემს შეხედულებებსა და შენიშვნებს ამა თუ იმ საკითხის მიმართ.

ვარ სოფელ საქობოს მაჟორიტარი დეპუტატი და მოსახლეობასთან შეხვედრისას მათთან ერთად განვიხილავდი, როგორც სოფელში არსებულ ისე ინდივიდუალურ პრობლემებს.

საანგარიშო პერიოდში სოფელ საქობოში დაიდგა სანაგვე ურნები, გასუფთავდა საფეხმავლო ბილიკები და სანიაღვრეები. ჩატარდა კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიებები.

საკრებულოს წევრი: ნინო კოჭლამაზაშვილი

31.10.2018 წელი

საკრებულოს წევრი: გიორგი ჯანყარაშვილი

☑სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

გიორგი ჯანყარაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

2017 წლის 20 ნოემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქციის „მრეწველები“ თავმჯდომარე და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის წევრი. საანგარიშო პერიოდში ვესწრებოდი საკრებულოს სხდომებს, ვთავმჯდომარეობდი ფრაქციის სხდომებს, მონაწილეობას ვიღებდი საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის სხდომების მუშაობაში. ვხვდები მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას და აქტიურად ვაფიქსირებ, როგორც მათ ისე ჩემს პოზიციებს.

2017-2018 წლის განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა პროექტი: გზის ასფალტბეტონის საფარისა და სანიაღვრე არხების (კუვეიტების), სასმელი წყლის ჭაბურღილის, რეზერვუარისა და წყალსადენი ქსელების მოწყობა. სოფელ ქვემო მაჩხაანში გაკეთდა მინი სპორტული მოედანი. გარემონტდა საბავშვო ბაღი. „სამების“ ტაძართან მისასვლელი გზა მოასფალტდა. დაიდგა ნაგვის ახალი ურნები. სოფელი ხორნაბუჯის მიმართულებით კეთდება მოასფალტებული გზა.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა, კიდევ ბევრია გასაკეთებელი. აუცილებელია მუნიციპალიტეტში სასოფლო - საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების წესრიგში მოყვანა და ამავდროულად სასოფლო დანიშნულების სავარგულებთან მისასვლელი გზების მოწესრიგება.

საკრებულოს წევრი: გიორგი ჯანყარაშვილი

31.10.2018 წელი

საკრებულოს წევრი: ივანე მირიანაშვილი

☑სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ივანე მირიანაშვილის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა

ივანე მირიანაშვილი

მოგესალმებით, დამსწრე საზოგადოებას, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ანაგის ადმინისტრაციული ერთეულის ამომრჩეველს, და გაგაცნობთ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს. მოგახსენებთ, რომ 2017 წლის 20 ნოემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და ფრაქციის ,, ქართული ოცნება“ თავმჯდომარე.

2017-2018 წწ საანგარიშო პერიოდში დავესწარი საკრებულოს სხდომებს და ვმონაწილეობდი საკრებულოს კომისიების მუშაობაში, სადაც აქტიურად ვაფიქსირებდი საკუთარ პოზიციებს.

მთელი წლის განმავლობაში ვხვდებოდი მოსახლეობას, ვისმენდი პრობლემებს და შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი მათ მოგვარებაში.

საანგარიშო პერიოდში სოფ. ანაგაში განხორციელდა ერთი ჭაბურღილის მოწყობა, მოიხრეშა შიდა საუბნო გზები, აღნიშნული პროექტები გრძელდება და კეთილმოეწყობა დანარჩენი პრობლემური საუბნო გზებიც.

მადლობას მოგახსენებთ მოსმენისათვის, შეხვედრას დახურულად ვაცხადებ

საკრებულოს წევრი : ი.მირიანაშვილი

31.10.2018 წელი